

წიგნის განხილვა – BOOK REVIEW

როლანდ თოფჩიშვილი

ფუნდამენტური გამოკვლევა ტაო-კლარჯეთის ციხე-სიმაგრეების შესახებ

სულ რაღაც ორი ათეული წლის წინ ისტორიული სამხრეთ საქართველოს შესახებ, რომელსაც ხშირად ტაო-კლარჯეთს ვუწოდებთ, ჩვენი ცოდნა ფრიად მწირი იყო. ქართველებს მხოლოდ ამაო ოცნება გვექონდა, თვალი ოდნავ მაინც შეგვევლო მხარის ლანდშაფტისათვის, ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოსათვის, იმ დიდი კულტურული მემკვიდრეობისათვის, რომელიც ჩვენმა შრომისმოყვარე წინაპრებმა შექმნეს; მოგვესმინა იქაური ქართული, გავსაუბრებოდით მათ, ვინც დეეთნიზაციას გადაურჩა და გაგვერკვია, რა ტრადიციების მიმდევარნი არიან, რა დარჩათ ძველი ქართული ხალხური ნეს-ჩვეულებებიდან, გაგვერკვია მათი მენტალობა და სხვა მრავალი. მოულოდნელად, თანამედროვე ქართველებს ოცნება რეალობად გვექცა. თურქეთთან საზღვრების გახსნამ ოცნება არა მხოლოდ რეალობად გვიქცია, არამედ მეცნიერებს მოგვეცა საშუალება, ყველა პრობლემა ღრმად შეგვესწავლა. გამოჩნდნენ გზის გამკვალავნიც და, შემდეგ, სხვადასხვა პრობლემის სიღრმისეულად შემსწავლელნიც; დაიბეჭდა არა ერთი და ორი გამოკვლევა ქართული ენის იქაურ დიალექტებზე, ფოლკლორზე, ტაძრებსა და მატერიალური კულტურის სხვა ძეგლებზე, ეთნოგრაფიულ ყოფაზე, ხელახლა იქნა გააზრებული სამხრეთ საქართველოს ისტორიის პრობლემები; განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ ბათუმელი მეცნიერების აქტიურობა, რომლებმაც დიდი მოცულობის წიგნები გამოსცეს შავშეთზე, კლარჯეთსა და ტაოზე. გარდა შავშეთ-იმერხევისა, კლარჯეთ-ლიგანისა და ტაოსი, ექსპედიციები მოენყო მარმარილოსა და შავი ზღვის რეგიონებში, სადაც ქართველი მუჰაჯირები ცხოვრობენ და სადაც მათთან ქართული ეთნიკური აღქმა მკვეთრად არის წარმოდგენილი. ამის მკაფიო დასტურია ის ცრემლები და ემოციური სიტყვები, რაც მთხრობელმა მასთან ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობის შემდეგ, გამომშვიდობებისას გვითხრა: „რაილა მეშველება ახლა მე?!“

ვრცელი შესავალი გამოგვივიდა; ეს ყველაფერი კი იმისთვის დაგვჭირდა, რომ უფრო მკაფიოდ და კარგად წარმოგვეჩინა იმ აკადემიური გამოკვლევის მნიშვნელობა, რომელიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტში შეიქმნა სამხრეთ საქართველოს მატერიალური კულტურის ისეთი ძეგლების შესახებ, როგორცაა ციხე-სიმაგრეები. მკითხველის წინაშეა ფუნდამენტური, ვრცელი გამოკვლევის სამტომეული, რომელსაც „ტაო-კლარჯეთის ციხე-სიმაგრეები“ ჰქვია. პროექტი დააფინანსა შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა და განახორციელა მკვლევართა ჯგუფმა ჯაბა სამუშიას ხელმძღვანელობით. პროექტის მონაწილეები იყვნენ ბონდო კუპატაძე, ლერი თავაძე, ალექსანდრე ბოშიშვილი, აკაკი ჩიქობავა, ნინო სილაგაძე, ოქროპირ ჯიქური და არქიტექტორი გიორგი ბაგრატიონი. სამტომეული ქართული საისტორიო მეცნიერების მნიშვნელოვანი მონაპოვარია.

პროექტის მონაწილეებმა თურქეთის სახელმწიფოში შემავალი მტკვრისა და ქოროხის ხეობებში არსებული ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიული/ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე შეისწავლეს. ეს მხარეებია: კოლა, არტაანი, ერუშეთი, ჩრდილი, ფოცხოვი, კლარჯეთ-ლიგანი, შავშეთ-იმერხევი, ტაო. საერთო ჯამში, გამოკვლეულია 77 ციხე-სიმაგრე. ამისთვის მეცნიერებს შვიდი ექსპედიციის მოწყობა დასჭირდათ, თან ისეთ ადგილებშიც, სადაც მისვლა ფაქტობრივად შეუძლებელია. ამას გარდა, რამდენმა ციხე-სიმაგრემ ვერ მოაღწია ჩვენამდე! ბევრგან ხომ ამგებთა შთამომავლებიც აღარ შემორჩნენ და ყოველგვარი ტრადიცია განყვეტილია. თავად ექსპედიციის წევრებს აქვთ დაფიქსირებული, რომ „სოფლებში ხშირად მიგითითებენ ადგილს, სადაც ოდესღაც მდგარა კოშკი და მისი ქვებით ადგილობრივებს სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობები აუგიათ“ (ტომი 1 – გვერდი 22). აქვე კოშკებთან დაკავშირებით, ხაზგასმულია, რომ ისევე, როგორც თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე, ტაო-კლარჯეთშიც „კოშკს სასიგნალო ფუნქცია ჰქონდა“, რათა მოახლოებული მტრის შესახებ მეზობლად მდებარე ტერიტორიული ერთეულისათვის სასწრაფოდ გადაეცათ ინფორმაცია.

ციხე-სიმაგრეებთან მიუდგომლობა უფრო ართულებდა ძეგლებამდე მისვლას, მათ შესახებ რაიმე ინფორმაციის მიღებას. ჩემთვის, ადამიანისათვის, რომელსაც მოვლილი აქვს ტაო-კლარჯეთი, მოულოდნელიც კი იყო ამ რაოდენობის ციხე-სიმაგრეთა წარმოჩენა. კითხვა ჩნდება: რისთვის აგებდნენ კოლაელი და არტაანელ-ჩრდილელი, ფოცხოველი და ერუშნელი, კლარჯელ-ლიგანელი და შავშეთ-იმერხეველი, იმიერ-ტაოელი და ამიერ-ტაოელი ქართველები ასეთ მონუმენტურ ნაგებობებს. სამტომეულის ყურადღებით ნაკითხვის შემდეგ კი ძნელი არაა ამ კითხვას უპასუხო: ქართველებს სახელ-

მნიფობრიობის შექმნამდეც და შემდეგაც განუსაზღვრელი რაოდენობით ჰყავდათ მტერი, რომელთაგან ზოგი საძარცვავად და ზოგი დასაპყრობად და დასასახლებლად მოდიოდა, მოდიოდა არა ისე, უბრალოდ, არამედ იარაღით. და ეს ციხე-სიმაგრეები თავდაცვის ერთ-ერთი საშუალება იყო. გამოკვლევათა ავტორებმა დაგვანახეს, თუ რაოდენ შრომისმოყვარენი იყვნენ საუკუნეების წინ მათი ამგებნი. ეს აზრი ძველქართველთა შრომისმოყვარეობაზე პირველად მაშინ გაგვიჩნდა, როდესაც ჭოროხის ხეობაში უამრავი ტერასა ვნახეთ, არა უბრალოდ რამდენიმე საფეხურიანი, არამედ 15-25 და 40-საფეხურიანიც კი. ქართველი ძირითადად მიწათმოქმედი იყო და სახნავ-სათესი მიწის მოპოვებას ტერასების აშენებით ახდენდა იქ, სადაც მისი დეფიციტი იყო.

მკითხველს ყველა ციხე-სიმაგრის შესახებ დანვრილებითი ინფორმაციის მიღება შეუძლია და ამას აადვილებს ისიც, რომ სამივე ტომის დასაწყისში ცალკეა წარმოდგენილი თითოეული საფორტიფიკაციო ნაგებობის შესახებ მოკლე მონაცემები; ესენია: ძეგლის დასახელება და მისი ფუნქცია, მდებარეობა, სიმაღლე ზღვის დონიდან, გეოგრაფიული კოორდინატები, სიგრძე და სიგანე, ფართობი, კედლის სისქე, გოდოლის სიმაღლე, კარიბჭის ზომა. საგულისყუროა, რომ თავისი ფართობით, მასშტაბურობით მტკვრის ხეობის ძეგლებიდან გამორჩეული იყო არტანის ციხე-ქალაქი, დადაშენის მეგალითური კომპლექსი, მგელციხე, მერე, ქაჯისციხე..., ტაოში – თორთომი, ანძავი, მამროვანი (ნარიმანი), ოლთისი, ორჭოხი..., შავშეთსა და კლარჯეთში – არტანუჯი, ართვინი, გარყლობი, სათლელი, სვეტის ციხე, წეფთა, ხარაული... ზოგიერთი მაინცდამაინც მასშტაბურობით იმდენად არ გამოირჩევა, რამდენადაც მათი ადგილმდებარეობით, საიდანაც ხდებოდა ვრცელი სივრცის კონტროლი. აქვე უნდა ითქვას, რომ ციხე-სიმაგრეთა მასშტაბს, ფართობს პირველ რიგში გეოგრაფიული და სოციალური ფაქტორები განაპირობებდა; მშენებელთა ის კარნახობდა, როგორ და რა კონსტრუქციით აეგოთ ციხე, მისი ესა თუ ის კედელი.

„ტაო-კლარჯეთის ციხესიმაგრეების“ პირველი ტომი მთლიანად მტკვრის აუზის ფორტიფიკაციებს ეძღვნება. ის იხსნება ჯაბა სამუშიას ვრცელი შესავალი წერილით, რომელშიც გაცხადებულია, რომ საგრანტო პროექტის ჯგუფი ციხე-სიმაგრეთა პარალელურად ამ ციხე-სიმაგრეების ტერიტორიაზე არსებულ ეკლესიებსაც სწავლობდა. საერთო ჯამში კი შესწავლილი ძეგლების რაოდენობა ასს აჭარბებს. ბუნებრივია, ძეგლების შემსწავლელი მეცნიერები, როგორც პროფესიონალი ისტორიკოსები, ყველა მათგანს ისტორიის თვალთახედვით იკვლევდნენ. რადგან ციხე-სიმაგრეთა უმრავლესობაში ფეოდალების რეზიდენციები არსებობდა, ციხე-სიმაგრეები შესწავლილია აგრეთვე, როგორც ფეოდალთა რეზიდენციები. გაცხადებულია, რომ არ-

ქელოგიურად ისინი შეუსწავლელია. ამ თვალსაზრისით შესწავლის შემთხვევაში კი გამოკვლევები, ბუნებრივია, უფრო მეტი სამეცნიერო ინფორმაციის შემცველი იქნებოდა. როგორც ჯაბა სამუშია აღნიშნავს, „ექსპედიციის მიერ მოპოვებული მასალის დიდი ნაწილი წარმოადგენს მეცნიერიულ სიახლეს, რამეთუ ძეგლთა აბსოლუტური უმრავლესობა საფუძვლიანად არ ყოფილა შესწავლილი“ (1-15-16). გასაოცარია ავტორთა შემართება, რადგან ისინი ახდენდნენ ძეგლის არა მხოლოდ დაფიქსირებას და კოორდინატების ჩანიშვნას, არამედ აზომვას, ჩახატვას, ფოტოფიქსაციას. მუშაობა კაბინეტურ პირობებში არა ნაკლებ შრომატევადი გახლდათ, რადგან მეცნიერი ვალდებული იყო ეწარმოებინა ტაო-კლარჯეთის ისტორიულ-გეოგრაფიული კვლევა, რაც ითვალისწინებდა რეგიონებისა და მიკრორეგიონების საზღვრების გამიჯვნასა და ხეობების შესწავლას.

პროექტის მონაწილეებს სამხრეთ საქართველოში დადასტურებული აქვთ მშრალი წყობით ნაგები ციკლოპური ნაგებობებიც, რომლებიც უფრო ადრინდელია და რომელთა ქრონოლოგია ძვ. წ. II-I ათასწლეულებს მოიცავს. აღწერილია და სამეცნიერო მიმოქცევაშია შემოტანილი ათეულობით ციხე-სიმაგრე, რომელთა შიგნითაც აგებული იყო ფეოდალთა სასახლეები, სხვადასხვა დანიშნულების სამეურნეო და საცხოვრებელი ნაგებობები. ევროპის ქვეყნებში დაბლობში მდებარე ციხე-სიმაგრეები ერთმანეთს ძალიან ჰგავდა, საქართველოში, კონკრეტულად სამხრეთ საქართველოში, კი არც ერთი ასეთი ნაგებობა ერთმანეთს არ ჰგავს, ყველა ორიგინალურია. ავტორებს ამ ფაქტზეც აქვთ ყურადღება გამახვილებული და ესეც მარტივად და გასაგებადაა ახსნილი: „ციხე-სიმაგრეთა გარე მოცულობა ყველა შემთხვევაში მთლიანად დამოკიდებული იყო ლანდშაფტის კონფიგურაციაზე. შესაბამისად ეს უკანასკნელი დეტალი განსაზღვრავდა ნაგებობის მასების პროპორციებს. ... ტაო-კლარჯეთის ციხეებიდან თითქმის ყველა საოცრად ეხმიანება გეოგრაფიულ გარემოს. მაქსიმალურადაა ათვისებული ყოველი მეტრი ციხის ტერიტორია“ (1-30).

პირველ ტომში წარმოდგენილია კოლას 2, არტაანის – 7, ერუშეთის – 3, ჩრდილის – 4 და ფოცხოვის – 5 ციხე-სიმაგრის კვლევა. ამ ციფრებს თუ შევადარებთ ერთმანეთს, აშკარაა, კოლაში ასეთი არქიტექტურული ნაგებობების ნაკლებობა, რაც ისევ და ისევ გეოგრაფიული ფაქტორებით უნდა იყოს განპირობებული. უბრალოდ აქ ასეთი ნაგებობები თავის დროზეც შედარებით ნაკლები იქნებოდა. კოლას ორივე საფორტიფიკაციო ნაგებობის – კონქისა და ხევისკარის ციხეების შესახებ გამოკვლევის ავტორია ლერი თავაძე. როგორც აღნიშნულ, ასევე სხვა ძეგლების შესწავლის შემთხვევებში,

ავტორებს მაქსიმალურად აქვთ გამოყენებული ამა თუ იმ ძეგლთან დაკავშირებული ყველა წყარო; პირველ რიგში გადმოცემულია შესწავლის ისტორია, შემდეგ კი საკითხების თანამიმდევრობა ასეთია: ტოპონიმები, ისტორიული გეოგრაფია, აღწერა, ისტორია. მკითხველს გვინდა შევახსენოთ, რომ ტოპონიმებს უმეტეს შემთხვევაში ენათმეცნიერები სწავლობენ. მართალია, ისტორიკოსებს ისინი ყოველთვის აინტერესებდათ, მაგრამ მათი შესწავლა ძირითადად ისტორიის სფეროს სცილდება. როგორც, ამ შემთხვევაში, ლერი თავაძე, ისე დანარჩენი ავტორები, ამ სფეროშიც მაღალ პროფესიულ დონეს ამჟღავნებენ. ისტორიული გეოგრაფიაც ისტორიის ვიწრო სპეციალობაა. ამ სფეროსაც ავტორებმა კარგად გაართვეს თავი; ძეგლების აღწერის დროსაც ყველა ნიუანსია გათვალისწინებული. თითოეული ციხე მათ აძლევს საშუალებას ვრცლად და ღრმად იმსჯელონ ისტორიულ-გეოგრაფიული მხარისა და მიმდებარე ტერიტორიის ისტორიაზე. არ შეიძლება არ დაეთანხმო ლ. თავაძეს, რომელიც სამართლიანად იზიარებს ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებას და აღნიშნავს: რაც შეეხება კოლას მხარეს, ის უძველესი ქართული პროვინციაა, რომლის სახელს უკავშირდება კოლხეთის სამეფოს წარმოქმნა. ყოველ შემთხვევაში, კოლხეთის ავთენტური სახელწოდება მხოლოდ ამ ისტორიულმა მხარემ შემოგვინახა (1-32, 34). ძეგლის გარშემო მოცემული ისტორია მხოლოდ საწყისი პერიოდით არ შემოიფარგლება და გადმოცემულია არა მხოლოდ შუა საუკუნეების მოვლენები, არამედ გვიანდელიც, XIX და XX საუკუნეებისაც. ყველა ავტორი სათანადოდ ეხება ამა თუ იმ ძეგლის ირგვლივ მდებარე რეგიონის მეურნეობის წამყვან ფორმებსაც.

პირველ ტომში ვრცელი მონაკვეთია არტაანის ციხის შესახებ, რომლის ავტორია *ჯაბა სამუშია*. უნდა ითქვას, რომ ესაა გამოკვლევა არა მხოლოდ ამ ციხის, არამედ არტაანის ისტორიულ-გეოგრაფიული მხარის შესახებ. სრულიად ლოგიკურად, ეს მონაკვეთი იწყება იმაზე მსჯელობით, რომ დასახლებული პუნქტი არტაანი აკონტროლებდა არტაანის მხარის ვრცელ ველს და აქ იყრიდა თავს არა მარტო ამ მხარის ყველა გზა, არამედ მეზობელი მხარეებიდან – კოლადან, შავშეთიდან, ერუშეთიდან, სამცხიდან, ჯავახეთიდან, ჩრდილიდან მომავალი ყველა მაგისტრალი. აქედან იყო გასასვლელი ისტორიული სომხეთის ტერიტორიაზე – ყარსსა და ანისში. არაა დავინწყებული ის ფაქტი, რომ როგორც პოლიტიკურად, ისე ეკლესიური კუთხით არტაანი ერთიანი საქართველოს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა; რაც მთავარია, ეთნიკურადაც, რადგან ოიკონიმების აბსოლუტური უმრავლესობა ქართული იყო. ვრცელია მსჯელობა თავად ტოპონიმ – არტაანის – შესახებ. *ჯ. სამუშია* იზიარებს მოსაზრებას, რომ ამ ტოპონიმის ფუძე („არტა“) ქართული არ არის – მას ინდოევროპული ძირი აქვს და ქართულში შემოსულია ძველი

სპარსულიდან, სადაც ის ღვთაების სახელი იყო. ინდოევროპულის გავლენა ქართულ ენაზე უმნიშვნელო არ იყო, მით უმეტეს, სპარსული ენისა. თუ ამ მოსაზრებას გავიზიარებთ, მაშინ ისიც უნდა დავასკვნათ, რომ მაზდეანობა აღმოსავლეთ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საკმაოდ ღრმად იყო შემოსული, რადგან ანალოგიური ტოპონიმი აღმოსავლეთ საქართველოს მთაში, ივრის ხეობის სათავეშიც გვაქვს. რაც მთავარია, ტოპონიმის სუფიქსი (-ან) ქართულია, რაზედაც ავტორი საგანგებოდ მიუთითებს. -ან (-იან) სუფიქსიანი სოფლის სახელები ხომ საქართველოში არა ერთი და ორი გვაქვს (მაგალითად: მირზაანი, ცლუნკაანი, მაჩხაანი, წილკანი, ჭიკაანი, ტიბაანი, ურცევანი, რატევანი, ჟალანი, ჟინვანი...), რომელიც კუთვნილებას, მრავლობითობას გამოხატავს. იმაშიც ვეთანხმები ჯაბა სამუშიას, რომ მხარის სახელწოდება მოგვიანო პერიოდში არ გავრცელებულა დასახლებული პუნქტის სახელზე. საქართველოსა და სხვა ქვეყნების მაგალითები ხომ პირიქითი დასკვნის მიღებისაკენ გვიბიძგებს. დასახლებული პუნქტის სახელი მთლიანად ვრცელდებოდა ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეზე. ნარკვევის დანარჩენი მონაკვეთები შემდეგია: შესწავლის ისტორია, არტაანის ციხის გარემო, ნარკვევი არტაანის პროვინციისა და ციხე-ქალაქ არტაანის წარსულიდან. ხაზი აქვს გასმული იმ ფაქტს, რომ წინამორბედა ქართველმა მკვლევრებმა (დ. ბაქრაძე, ე. თაყაიშვილი) არტაანის გალავანში მრავალი ქართულწარწერიანი ქვა დაადასტურეს. ძიების შედეგად სარეცენზიო წიგნის ავტორებმაც ასეთი რამოდენიმე ქვა დააფიქსირეს, რასაც წარმოდგენილი საილუსტრაციო მასალა მოწმობს. შეუძლებელია არ აღვნიშნოთ, რომ არტაანის შესახებ არაა გამორჩენილი არცერთი წერილობითი ძეგლი, რომელიც ამ მხარის ოდიტგანვე საქართველოს შემადგენლობაში ყოფნასა და აქ ქართული ეთნოსის მკვიდრობას ადასტურებს. საამისოდ არ შეგვიძლია არ მოვიყვანოთ ც. აბულაძის მიერ თურქეთის არქივში დაცული XVI საუკუნის 20-იანი წლების რელაცია: „არტაანის დაბლობი უმშვენიერესი ადგილია საქართველოში. თმოგვის ციხემდე არის 300 სოფელი, შესანიშნავად განაშენები და დასახლებული; მინდვრები ბალახიანი, წყლიანი და სათიბი ვაკე ადგილები“ (1-69).

ბუნებრივია, შეუძლებელია წინამდებარე რეცენზიაში პირველ ტომში არსებულ ყველა გამოკვლევაზე შევჩერდეთ, ამიტომ მხოლოდ შერჩევით შეიძლება ზოგიერთ მათგანზე ყურადღება გავამახვილო. ველის ციხე-ქალაქი განსაკუთრებულ ყურადღებას იმითმაც იმსახურებს, რომ, როგორც ამ მონაკვეთის ავტორი ბონდო კუპატაძე აღნიშნავს, „მასზე დიდი ფართობის ციხე მთელ ტაო-კლარჯეთში მხოლოდ არტაანისა და თორთომის ციხე-ქალაქებია“ (1-81). ბონდო კუპატაძის ეს გამოკვლევა ყველა იმ სტანდარტის მიხედვითაა შესრულებული, რომელიც პროექტის ავტორებმა დაისახეს: ძეგლის მდე-

ბარეობა, შესწავლის ისტორია (აქ ავტორი მკითხველის ყურადღებას იქცევს *ექვთიმე თაყაიშვილის* ციტატით, რომ „ველთან ყოფილა პირველხარისხოვანი ციხე, რომელიც მგელციხესა და ქაჯის ციხესთან ერთად დიდ როლს თამაშობდა სამცხე-საათაბაგოს ისტორიაში“), ისტორიული გეოგრაფია (ხაზგასმულია, რომ ციხის „ადგილი სტრატეგიული მნიშვნელობისაა. ერუშეთის, არტაანის და ჩრდილის პროვინციათა საზღვარზე მდებარეობს და მდ. მტკვრის ხეობის ზემო წელის ერთიანი თავდაცვითი სისტემის ნაწილს წარმოადგენს“), ტოპონიმი (ოიკონიმი გამჭვირვალე ქართული ტოპონიმია), ციხის აღწერა (ციხე-სიმაგრის ცენტრში მდებარე ეკლესია მცირე მასშტაბის არ იყო), ისტორია დადასტურებულია, რომ „ველის ციხე, როგორც რეზიდენცია და მასშტაბური ციხე-ქალაქი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა XVI ს-ის 70-იან წლებში სამცხე-საათაბაგოში განვითარებული მოვლენების, როგორც შინაომის, ისე გარეშე ძალთა შემოჭრის დროს“; გარკვეულია ველის მოსახლეობის კონფესიური შემადგენლობა – ისინი სომხურ-კათოლიკური სარწმუნოებისანი იყვნენ, რომლებიც 1829 წელს ჯავახეთში დასახლდნენ და რომლებიც საბჭოთა პერიოდში სომხებად ჩანერეს და შეასწავლეს სომხური ენა სომხური სკოლების გახსნის გზით. აქედან ქალაქ რუსთავში დასახლებულმა რამდენიმე ოჯახმა ძველი ქართული გვარები და ეროვნება აღიდგინა. ველელი მაჰმადიანი ქართველები კი თავისუფლად ლაპარაკობდნენ ქართულად.

ჰურის (ურის) ციხის შესახებ ნარკვევის ავტორია *ალექსანდრე ბოშიშვილი*. ხაზგასმულია, რომ „მისი ძველი სახელი იყო ური, რომელიც, თავის დროზე არტაანის მხარის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა“ (1-121). აქვე შევნიშნავთ, რომ ამ სამართლიანი მოსაზრებიდან გამომდინარე, უპრიანი იყო სათაურში არა „ჰურის ციხე“, არამედ „ურის ციხე“ ყოფილიყო გამოტანილი. ციხე იმ მხრივაცაა საყურადღებო, რომ ის ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში მოიხსენიება, თუნდაც აზოსა და ფარნავაზის დაპირისპირების დროს – მეორე შეტაკება სწორედ ურის ტერიტორიაზე მომხდარა. აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ავტორი იყენებს 1595 წლის „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარს“, რომელშიც სოფელ ურის აღწერაცაა შეტანილი. ამით მკითხველის ყურადღება ფოკუსირდება იმ ფაქტზე, რომ სოფლის მცხოვრებნი ქართულ პიროვნულ სახელებს ატარებდნენ; შეიძლება ჩამოვთვალოთ: *ახალბედა, ბატატა, გოგჩა, ვარძელა, ზამუკა, ლაშქარა, ლომინა, დემეტრე, კვირიკა, მაცაცა, მახარა, მახარებელი, ნათენა, პაპუნა, რევაზ, საბა, სოზა, ფოცხვერა...*

გასაზიარებელია ფიქლობის ციხის შესახებ ნარკვევის ავტორის – *ლერი თავაძის* მიერ ტოპონიმ *ფიქლობის* ახსნა. უდავოა, რომ ის მომდინარეობს ქართული სიტყვიდან *ფიქალი*, ხოლო *ფიქლობი* – ფიქალი ქვით მდიდარ

ადგილს ნიშნავს. ნიგნში ჩრდილის ოთხი ციხიდან თეთრციხისა და შავციხის მონაკვეთის ავტორია *ლერი თავაძე*, ხოლო მგელციხისა და ქაჯისციხის – *ალექსანდრე ბოშიშვილი*. ნაჩვენებია, თუ რაოდენ მძიმე ბრძოლები გადაიხადეს ამ ციხეებთან XVI საუკუნის მიწურულს, როდესაც ისინი საკუთარ სამშობლოს იცავდნენ გარეშე ძალებისაგან (მესხური მატრიანე: „ქაჯისციხე, ველი და თეთრციხე წაგუართუ ურუმთა და ქაჯისციხის მეციხოვნენი სრულიად შემოეხოცნეს“). აქვე გვინდა აღვნიშნოთ, ავტორთა თავდადების შესახებ, რომ ციხეები სრულყოფილად აღენერათ, რადგან ისინი ხომ მიუდგომელ ადგილებშია აგებული და, ჩვეულებრივ შემთხვევაში, ერთობ ძნელია ამ ადგილებთან მისვლა. დავამატებთ, რომ ტაო-კლარჯეთის ძეგლების უმრავლესობა თავისი მონუმენტურობით, სილამაზით, სიდიადით მნახველებზე განუსაზღვრელ შთაბეჭდილებას ახდენს და გაქვს სურვილი მათი გამოჩენისთანავე ჩქარა მიხვიდე მათთან. მაგალითად, არაერთხელ მქონია შემთხვევა, მენახა ქაჯისციხის გამოჩენისთანავე ახალგაზრდები სირბილით რომ მიემართებიან მისკენ.

ფოცხოვის ციხეთაგან წარმოდგენილია ხუთი ციხის (მერეს, ყველის, წურწყაბის, ჭანჭახის და ჯაყის ციხეები) ისტორია, რომელთა ავტორია *ბონდო კუპატაძე*. ამ ტოპონიმთა უმრავლესობა, როგორც შენიშნულია, ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში არის მოხსენიებული (მაგალითად „ყუელის ჯევი“ გვხვდება „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“). დაწვრილებითაა საუბარი აქ არსებული ეპიგრაფიკული ძეგლების შესახებ (X-XI საუკუნეების ასომთავრული წარწერები), რომლებსაც მხარის პოლიტიკური ისტორიის შესწავლა-გარკვევაში დიდი მნიშვნელობა გააჩნია. „გურჯისტანის ვილაიეთის დავთარში“ დაცული მონაცემები კი კარგადაა გამოყენებული მხარის სამეურნეო ყოფის სურათის აღსადგენად. გარკვეულია, რომ მაშინდელი ქართველებისათვის ძირითადი სამეურნეო საქმიანობა მემინდვრეობა იყო; მოჰყავდათ: ხორბალი, ქერი, ჭვავი, სელი; მისდევდნენ მესაქონლეობას, მეცხვარეობას, მელორეობას, აგრეთვე მეფუტკრეობას. აქვე აღნიშნული დავთრიდან მოხმობილია სოფელში მცხოვრები კომლების უფროსთა სახელები და მამის სახელები. ეს უკანასკნელი გვარსახელად აქვს ავტორს მიჩნეული. შევნიშნავ, რომ არც ერთი მათგანი გვარი არაა – პიროვნული სახელის შემდეგ ნახსენები მეორე კომპონენტი მამის სახელია. თურქისათვის საერთოდ უცნობი იყო მემკვიდრეობითი სახელი (გვარსახელი) და, ამიტომ, ის მას ვერც აღნუსხავდა. აქაც უმეტეს შემთხვევაში ქართველები ქრისტიანული და გამჭვირვალე ქართული სახელების მატარებელნი იყვნენ.

პირველ ტომს დანართის სახით ერთვის ტაო-კლარჯეთში მონყობილი შვიდივე ექსპედიციის დღიური. ნიგნის პირველივე გაცნობისთანავე კითხვა ისმის: ყველა ციხე-სიმაგრის დაწვრილებითი გამოკვლევის შემდეგ, რაღა

საჭირო იყო ექსპედიციის დღიურების დართვა? მაგრამ პირველივე დღიურის გაცნობის შემდეგ ეს კითხვა ქრება, ქრება იმიტომ, რომ მკითხველი ამ ექსპედიციის თითქოსდა მონაწილე ხდება, მონაწილე ხდება იმ დადებითი და უარყოფითი ემოციებისა, რომელიც მათ ჰქონდათ. დადებითისა იმიტომ, რომ თითოეულ ძეგლთან მისვლის შემდეგ ისინი აღმოაჩენდნენ ხელოვნების ნიმუშებს, ასომთავრულ და მხედრულ წარწერებს, ციხის ცენტრში არსებულ ეკლესიებს, აღიქვამდნენ ძველ ქართულ პეიზაჟებს, ერთი რეგიონიდან მეორეში არსებულ გადასასვლელებს, სახნავ-სათესებსა და საძოვრებს, წინაპრების მიერ აგებულ ტერასებს; უარყოფითისა იმიტომ, რომ ეს ყველაფერი, რაც ქართველთა წინაპრებმა დიდი შრომისა და რუდუნების შედეგად ააგეს, შენი აღარაა, სხვა სახელმწიფოს შემადგენლობაშია, რომ ამ ციხე-სიმაგრეთა გარდა, უმეტეს შემთხვევაში ირგვლივ თითქმის ყველაფერი სხვა ქართული წარმოცოცხალია და რომ XX საუკუნემდე მოღწეული ბევრი უნიკალური ძეგლი აფეთქებების შედეგად მოსპეს. დღიურებში ზოგჯერ ყურადღება გამახვილებულია ამ თუ იმ ხეობის დღევანდელი მოსახლეობის შესახებ. ამ მხრივ სასურველი იყო არსებული ლიტერატურის მოხმობა. მაგალითად, როდესაც მურღულის ხეობის შესახებაა საუბარი, ხაზგასმულია, რომ აქ ქართულად საკმაოდ კარგად საუბრობს დიდი და პატარა. კარგად მოლაპარაკე ქართველები სამწუხაროდ მხოლოდ დიდებს შორის არიან. თანამედროვე ცხოვრებამ ქართველები ამ მხრივ დაჩაგრა, ახალგაზრდობა ქართულად უკვე ნაკლებად ლაპარაკობს. გვინდა აღვნიშნოთ, რომ მურღულის ხეობა მუჰაჯირობის დროს მოსახლეობისაგან თითქმის სულ დაიცალა და მხოლოდ მათი ნაწილი დაბრუნდა უკან 8-10 წლის შემდეგ. აგრეთვე მურღულის ხეობაში ლაზებიც ცხოვრობენ – ისინი აქ სწორედ მუჰაჯირად წასულთა ნასოფლარებში დასახლდნენ ოდნავ მოგვიანებით. გვაქვს ერთი შენიშვნა. რატომ ვწერთ *ჰატილას ხეობას*, რატომ ვიყენებთ ხეობის სახელის თანამედროვე თურქულ ფორმას? იმ დროს, როდესაც ციხეზე საუბრისას *ხატილას ციხეს* ვანიჭებთ უპირატესობას. კარგია, რომ სადაც ამის შესაძლებლობა ეძლეოდათ, ექსპედიციის წევრები ტოპონიმებსაც იწერდნენ. დღიურებიდან კარგად ჩანს, რომ ექსპედიცია ველზე აბსოლუტურად მომზადებული გადიოდა, დამუშავებული ჰქონდათ ყველა ის წერილობითი ძეგლი, რომლებშიც საუბარია სამხრეთ საქართველოზე. ასეთთა შორის აღმოჩნდა ძეგლის *წმიდა გიორგის ეკლესია*, რომელიც ჟამთააღმწერელთან იხსენიება, სადაც მენყერმა და ღვარცოფმა მონღოლთა ჯარი წაღეკა. ექსპედიციის წევრებმა ამ ძეგლს სოფელ ფორთისა და ფორთის მონასტრის მაღლა, მთის თხემზე, *ზიარეთთან* მიაგნეს. ექსპედიციის დღიურში ძეგლის წმიდა გიორგის ეკლესიის აგების სავარაუდო თარიღიცაა შემოთავაზებული – VIII-IX საუკუნეები. ექსპედიციის დღიურებიდან მკითხველს მიეწოდება ინფორმაცია,

რომ სამხრეთ საქართველოში ზურგიანი კომპებიც არსებობდა; ბოლო ხანე-ბამდე კი ცნობილი იყო, რომ ასეთი ძეგლები შიდა ქართლის მთიანეთისათვის იყო დამახასიათებელი.

მეორე ტომი მთლიანად კლარჯეთისა და შავშეთის ციხე-სიმაგრეებს ეთმობა. შეიძლება ჩამოვთვალოთ: (კლარჯეთის ციხეები) ართვინის (ლივანე) ციხე, არტანუჯის ციხე-ქალაქი, ბიჯის ციხე, ბორჩხას ციხე, ბოსელთას (შატბერდის) ციხე, გორაშეთის ციხე, ერკონის ციხე და თუხარისის ქვეყანა, კვარცხანას ციხე, ლონგოთხევის (იენი რაბათის) ციხე, მელოს ციხე, საღირას ციხე, სხულოვანის/ტანძოთის ციხე, უსტამელის ციხე, ხევისკარის/ერიშატის ციხე; (შავშეთის ციხეები) ბარაცხე, ბაძვირეთის ციხე, გარყლობის ციხე, დაბანვრილის ციხე, იფხრევის ციხე, ოქრობაგეთის ციხე, სათლელის ციხე-ქალაქი, სვეტის ციხე, ქვათეთრისის ციხე, წეფთის ციხე, ხანთუშეთის ციხე. კლარჯეთის ყველაზე დიდი ორი ციხის შესახებ გამოკვლევა ეკუთვნის ჯაბა სამუშიას. ესენია ართვინისა და არტანუჯის ციხეები. ამ ორი ციხის შესახებ ავტორს საკმაოდ დიდი გამოკვლევები აქვს წარმოდგენილი. ართვინი კლარჯეთის ერთი ნაწილის, ლივანის ტერიტორიაზე მდებარეობს. შესაბამისად ვრცელი მონაკვეთი ეძღვნება ნიგალის ხეობის ისტორიულ-გეოგრაფიულ დახასიათებას. სამართლიანადაა შენიშნული, რომ თავდაპირველად ნიგალი ცალკე ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე იყო და მხოლოდ შემდეგ შეესისხლხორცა კლარჯეთს. სხვადასხვა მიზეზით განპირობებული ასეთი პროცესები ხომ უცხო არ იყო ისტორიული საქართველოსათვის. ხაზგასმულია, რომ „...როგორც კი წყაროში საუბარი იწყება მოსახლეობის კუთხურ კუთვნილებაზე, კლარჯეთისა და ნიგალის მკვიდრნი ყველა კლარჯელები არიან“ (2-18). აღნიშნულ მონაკვეთში საუბარია ტოპონიმ ართვინის შესახებ; ისევე როგორც არტაანი, მისი ფუძეც სპარსულ არტა//ართა ძირთან – ღვთაების სახელთან არის დაკავშირებული. უპრიანი იყო ართვინის თავდაპირველ სახელწოდებაზე „ნიგალზე“//„ლივანზეც“ ყოფილიყო საუბარი. ხევსურულ დიალექტში შემორჩენილია, როგორც ჩანს, ერთ დროს, საერთო ქართული ლექსიკური ერთეული. ალექსი ჭინჭარაულის განმარტებით „ლივანა“ მთებსა და სანადიროებში აგებულ პატარა კოშკს ეწოდებოდა, რომლის საშუალებითაც ნისლიან ამინდში გზას იგნებდნენ. იქვე მოყვანილია ავთანდილ არაბულის განმარტებაც, რომ ლივანა ქედზე ამოზრცული ადგილია. ასე რომ, ეს ტოპონიმი არც ბერძნულ სიტყვას („ლიმანს“) უკავშირდება (ე. ბერიძე) და არც ურარტულ „ლიკას“ (ს. გოგიტიძე).

საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი საყოველთაოდ ცნობილი და მნიშვნელოვანია არტანუჯის ციხე, რომელიც მდინარე არტანუჯისწყლის მარცხენა ნაპირზე აღმართულ კლდოვანი მთის ბეჭობზე მდებარეობდა.

სამართლიანადაა შენიშნული, რომ არტანუჯს გამორჩეული ადგილი უკავია არა მხოლოდ სამხრეთ საქართველოს ცხოვრებაში, არამედ საერთოდ საქართველოს ისტორიაში. გაზიარებულია აკაკი შანიძის ეტიმოლოგია ტოპონიმ არტანუჯის შესახებ, რომელიც ქანურით იხსენება და რომელიც „არტანიიშყუჯი“-დან (არტაანის ყურე, არტაანის კარი) მომდინარეობს. სხვა ახსნა ამ სახელწოდებას არცა აქვს. არტანუჯისადმი განსაკუთრებული ყურადღება კი უდავოდ იმითაცაა გამოწვეული, რომ მისი აგება დაკავშირებულია ქართული სახელმწიფოს ერთ-ერთი მესაძირკვლის – ვახტანგ გორგასლის სახელთან. მონაკვეთში აღნიშნულია, რომ არტანუჯის ერისთავთა რეზიდენციად და მხარის ძლიერ ცენტრად გადაქცევა სამხედრო-სტრატეგიული ფაქტორის გარდა, განაპირობა მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამაც. არტანუჯის მნიშვნელობა განუსაზღვრელი იყო სამხრეთ საქართველოში მცხოვრები მოსახლეობისა და პოლიტიკური წრეებისათვის. ამიტომაც იყო, რომ ის შემოსეული მტრის სამიზნე ხდებოდა. საამისოდ VIII საუკუნის 30-იანი წლების სასტიკი დამპყრობლის მურვან-ყრუს დასახელებაც საკმარისია. მაგრამ ქართველმა ხელისუფლებმა, კონკრეტულად კი აშოტ ბაგრატიონმა (კურაპალატმა) ის ხელახლა აღადგინა. არტანუჯთან დაკავშირებული პოლიტიკური ისტორია ავტორს ვრცლად და ზედმინევნით აქვს გადმოცემული. არაა გამოტოვებული ამ ციხე-ქალაქსა და საერისთავოს ცენტრთან დაკავშირებული არც ერთი ფაქტი და მოვლენა. შეძლებისდაგვარად მიმოხილულია მდინარე არტანუჯისწყლის ხეობასა და ირგვლივ მდებარე დასახლებათა ისტორიული დემოგრაფიის პრობლემებიც. სათანადოადაა აღნიშნული იმ მეცნიერთა ღვაწლი, ვინც ამ საკითხის შესწავლაში წვლილი შეიტანა. მოხმობილია ზ. შაშიკაძის გამოკვლევა, რომელმაც გაარკვია, რომ 1574 წელს არტანუჯის ხეობაში 1410 კომლი ცხოვრობდა, რომელთაგანაც 1352 კომლი ქრისტიანი, ე. ი. ქართველი იყო და მხოლოდ 58 კომლი იყო მუსლიმი. ამ უკანსაკნელთა ხვედრითი წილი მომდევნო პერიოდებში თანდათან იზრდებოდა. არტანუჯის ხეობის მოსახლეობას ქართული ენა და ეთნიკური იდენტობა საკმაოდ დიდხანს ჰქონდა შენარჩუნებული, რასაც ადასტურებს რუსეთის იმპერიის მმართველობის დროს ჩატარებული აღწერა (საოჯახო სიები). სოფლების თითქმის აბსოლუტურ უმრავლესობას ქართული სახელებიც ჰქონდა. ეს ოიკონიმები კი თურქეთის ხელისუფლებამ მხოლოდ XX საუკუნის 80-იან წლებში შეცვალა და ადგილობრივი ქართული მოსახლეობაც, მათი ეთნიკური იდენტობის გამო, ბურსის ვილაიეთში გადაასახლა. სამწუხაროდ, 1886 წლის საოჯახო სიები კვლევაში გამოყენებული არაა. მხოლოდ ქ. არტანუჯის მოსახლეობის რაოდენობის შესახებაა საუბარი, რომლებიც ამ დროს ქართული აღარ იყო.

სათანადოდაა შესწავლილი ბორჩხას ციხე (ავტორი *ბონდო კუპატაძე*). შენიშნულია, რომ დასახლებული პუნქტის – ბორჩხას მოსახლეობა არ მისდევდა ტრადიციულ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს („სოფელი, სადაც არც ხვინ და არც სთესენ“) და ისინი თავს ნავთმშენებლობით, მენავეობითა და მეთუნეობით ირჩენდნენ. სამართლიანად ეს ტოპონიმიც ზანური ენითაა ახსნილი (ზანურითაა ახსნილი ტოპონიმი კვარცხანაც). იმავე ავტორს ეკუთვნის გამოკვლევა ბოსელთას ციხის შესახებ, რომელიც შატბერდთან არის გაიგივებული. შესაბამისად, ვრცლადაა საუბარი შატბერდის შესახებ. შატბერდს იენი-რაბათთანაც აიგივებენ; ვფიქრობთ, რომ არცერთი ეს გაიგივება არგუმენტირებული არაა. რატომ ვაიგივებთ შატბერდს სხვადასხვა ძეგლებთან? იქნებ ისევე როგორც არაერთი სხვა ძეგლი შატბერდიც დაინგრა და განადგურდა? ანდა სადაც შატბერდი იყო იმ სოფლის მოსახლეობა მოისპო და შესაბამისად ტოპონიმიც ძეგლთან ერთად გაქრა? იმის გამო, რომ სხვადასხვა მეცნიერები შატბერდად მიიჩნევდნენ ფორთის მონასტერსაც, ამ ნარკვევში ხანცთის შესახებაცაა საუბარი და შენიშნულია, რომ „ფართოდ არის გაზიარებული ვახტანგ ჯობაძის თვალსაზრისი ფორთას მონასტრის ხანცთასთან გაიგივების შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ ტოპონიმი ხანცთაც დაკარგულია“ (2-79). შევნიშნავთ, რომ ხანცთა ფორთასთან პირველად *პავლე ინგოროყვამ* გააიგივა. ამავე დროს, ტოპონიმი *ხანცთა* დღეს ცოცხალი ტოპონიმია და ის ფიქსირდება იმერხევის სოფელ უბესთან. სოფლებში უბესა და დიობანში მცხოვრებ ქართველებში ეს ტოპონიმი ცნობილია და ამ სოფლების მკვიდრნი გაჩვენებენ მის ადგილმდებარეობას. უბრალოდ, ხანცთის მონასტერმა დღეს ჩვენამდე ვერ მოაღწია (დანვრილებით იხ.: რ. თოფჩიშვილი, *ხანძთის მონასტრის ლოკალიზაციისა და შავშეთ-კლარჯეთის საეკლესიო ისტორიული გეოგრაფიის ზოგიერთი საკითხი*, „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები“, VII, თბ., 2013, გვ. 66-82). გასაზიარებლად მიგვაჩნია, ამ მონაკვეთში ავტორის მსჯელობა „მცველი ციხეების“ შესახებ, რომელთა მთავარი ფუნქცია შედარებით ადვილად მისასვლელი მონასტრების უსაფრთხოების დაცვა იყო. სწორედ ამ კონტექსტშია განხილული ბოსელთას ციხე.

აბზაცის დასაწყისში ბორჩხის მოსახლეობის სამეურნეო ყოფის შესახებ გავამახვილეთ ყურადღება – ისინი მხოლოდ ნავთმშენებლები და მენავეები იყვნენ, და შესაბამისად ხვნა-თესვისათვის არ ეცალათ. ეს ფაქტი კი პირდაპირ მიუთითებს იმის შესახებ, რომ ჭოროხის ხეობა მთლიანად ერთი სამეურნეო ერთეული იყო, რომ ბათუმიდან აღმა მცხოვრებ კლარჯელ-ლიგანელებს მჭიდრო სამეურნეო-ეკონომიკური ურთიერთობები ახასიათებდათ. ბორჩხელთა პროფესიული საქმიანობის გარეშე აღნიშნულ გეოგრაფიულ არეალში ეს კავშირურთიერთობები ვერ განხორციელდებოდა.

ვრცელი მონაკვეთი აქვს დათმობილი თავს, რომელსაც „ერკინისის ციხე და თუხარისის ქვეყანა“ ეწოდება. ეს ბუნებრივიცაა, რადგან აღნიშნული საფორტიფიკაციო ნაგებობა მდებარეობს ტაოსა და კლარჯეთის საზღვარზე – თუხარისის „ქვეყნის“ ტერიტორიაზე. *ბონდო კუპატაძე*, სრულიად ლოგიკურად, თუხარისის კლარჯეთს მიაკუთვნებს. ამ დასკვნის საშუალებას კი ის ფაქტი აძლევს, რომ „თუხარისის ანტიკურ პერიოდში, ქართლის სამეფოს წარმოქმნისას წარმოადგენდა სწორედ კლარჯეთის საერისთავოს პოლიტიკურ ცენტრს“ (2-109). გასაზიარებელია მსჯელობა, რომ ერკინისის ციხე კლარჯეთის პროვინცია – თუხარისის ქვეყანაში შემავალ გზებს აკონტროლებდა. ლოგიკურია ვარაუდი, რომ ტოპონიმი ერკინისი „რკინისას“ უნდა ნიშნავდეს.

მეორე ტომში *ბონდო კუპატაძეს* სხვა მნიშვნელოვანი გამოკვლევებიც ეკუთვნის; ესენია ნარკვევები კვარცხანას, ლონგოთხევის, მელოს ციხეების შესახებ. კვარცხანის შესახებ ავტორის ნათქვამი ადასტურებს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ისტორიკოსისათვის ამა თუ იმ მხარეში არსებული ძეგლების თვალის შევლებას და ისტორიულ გეოგრაფიული ასპექტით კვლევას: „კვარცხანას ციხეს აქვს სტრატეგიული მდებარეობა. ის გადაჰყურებს მდ. ჭოროხს, მის შენაკად ხატილასწყალს, ხატილას ხეობას და მთლიანად ლიგანის ხევს. ამასთან, ციხე უყურებს შავშეთიდან და აჭარიდან გადმომავალ გზებს. ასეთი ხედების მქონე, ზღვის დონიდან 1080 მეტრზე მდებარე ციხე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ლიგანის ქვეყნის, თუ მთავარი არა, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ციხეა. ... ასეთი მასშტაბის და საუკეთესო მდებარეობის ციხე ამ რეგიონში არ გვინახავს. მისი მნიშვნელობა, მდებარეობიდან გამომდინარე, შეიძლება შევადაროთ წეფთის ციხის მნიშვნელობას შავშეთისათვის“ (2-124/125). ლონგოთხევის ციხე იენი-რაბთის ეკლესიის „მცველ ციხედაა“ განხილული, რომელიც XVI საუკუნეში *ლონგოსძეთა* საკუთრებაში იყო. ასე რომ, ლონგოთხევის ციხის სახელწოდება ანთროპონიმიურია. საყურადღებოა, რომ მელოს ციხეზე საუბრისას მოცემულია მთელი სამხრეთი საქართველოს კლასიფიკაცია ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით. საკმაოდ ორიგინალურია ავტორთა მოსაზრება, რომლის თანახმადაც აღნიშნულ რეგიონში გამოყოფილია სამი ძირითადი ნაწილი: მდიდარი, საშუალო და ღარიბი. პირველ მათგანში გაერთიანებულია: კოლა, ერუშეთი, არტანის, ფოცხოვი, ჯავახეთი, თორთომი, ოლთისი, მეორეში – შავშეთი, სამცხე, პარსლის ხეობა, ამიერ-ტაო, მესამეში – კლარჯეთი და იმერხევი. ბუნებრივია, ასეთი აზრი სამხრეთ საქართველოს ლანდშაფტის, ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოს შესწავლის შემდეგ ჩამოყალიბდა. მაგრამ, ზოგიერთი ხევის ჩაკეტილობა არ მიგვაჩნია მთლად მართებულიად. ამ შემთხვევაში აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იყოს ეთნოგრაფიული მასალა. მხედველობაში გვაქვს

სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები. ღარიბი მხარეების მოსახლეობა გარე სამუშაოზე გადიოდა, მაგალითად, მაჭახლელები და იმერხვეელები თიბვის დროს კოლასა და არტაანში მუდმივად დაიარებოდნენ, თან გასაყიდად ხილი მიჰქონდათ. უკან დაბრუნებულებს მოჰქონდათ მატყლი. ასეთი ურთიერთობის დამადასტურებელი მაგალითი კიდევ არა ერთი და ორი შეიძლება მოვიყვანოთ.

ავტორი მელოს ციხეს კლარჯეთის ლიგანის მონაკვეთში ათავსებს. ცნობილია, რომ ლიგანის მხარე ესაა ტერიტორია ჭოროხის ხეობა ართვინიდან ჩრდილო-დასავლეთით. მელო კი ართვინიდან სამხრეთით, ჭიმჭიმთან ახლოს, ტაოს საზღვართან მდებარეობს. გამოთქმულია მოსაზრება, რომ მელოს მოსახლეობა აჭარიდან მოსული მუჰაჯირები იყვნენ. იგივეა ნათქვამი პარხლის ხეობაში – ქობაის ხევი მცხოვრები ქართველების შესახებ, რომლებიც ასევე აჭარიდან მიგრირებულთა შთამომავლებად არიან მიჩნეული. დაბეჯითებით უნდა აღვნიშნო, რომ ესენიც ძირძველი ტაოელები არიან და არა აჭარიდან გადმოსახლებული მუჰაჯირების შთამომავლები.

ავტორებს არ გამორჩათ საკვლევ რეგიონში გამოვლენილი არც ერთი წარწერა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია კლარჯეთის სხულოვანის/ტანძოთის მეჩეთის კედელში ჩაშენებული ქვა ქართული ასომთავრული წარწერით, რომელიც 1904 წელს ნიკო მარმა გამოავლინა. 1313 წელს, აშკარაა, რომ აქ ქართველები აღმშენებლობით საქმიანობას ეწეოდნენ – *საიმადაველ კალმახელს* წმიდა მარინეს ეკლესია აუშენებია. შესაბამისად, სომხური ტოპონიმი (ტანძოთი) აქ გვიან მოსული და დასახლებული სომხების შერქმეულია, რომლებმაც სოფლის ადრინდელი სახელწოდება სხულოვანი/სხლუანი უთარგმნიათ.

შავშეთის ციხეებიდან ავტორთა კოლექტივს შესწავლილი აქვს ბარაცხე, ბაძგირეთის ციხე, გარყლობის ციხე, დაბანვრილის ციხე, იფხრევის ციხე, ოქრობაგეთის ციხე, სათლელის ციხე-ქალაქი, წეფთის ციხე, ხანთუშეთის ციხე. ამ შემთხვევაშიც ავტორები არიან *ჯაბა სამუშია*, *ბონდო კუპატაძე*, *ლერი თავაძე* და *ალექსანდრე ბოშიშვილი*. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ შავშეთ-იმერხვეის ციხეების უმრავლესობა საკმაოდ ადრეა აგებული. მაგალითად, IX-X საუკუნეებით თარიღდება ბარაცხე. ამ მონაკვეთშიც სათანადოდაა გადმოცემული ბარაცხესთან დაკავშირებული ისტორია, მაგრამ ვფიქრობთ, რომ დასაბუთებას საჭიროებს ნათქვამი, რომ „შავშეთის მოსახლეობა ერთ-ერთი უკანასკნელი იყო, ვინც ისლამი მიიღო ტაო-კლარჯეთში“ (2-172). ასევე ბაძგირეთის ციხის მონაკვეთში ნათქვამია, რომ „შავშეთი რამდენიმე ნაწილად იყოფა, მათ შორის ერთ-ერთია იმერხვეი“ (2-177). იმერხვეის გარდა შავშეთში კიდევ რომელი ნაწილი გამოიყოფა? წყაროებში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი და ეს „რამდენიმე ნაწილი“ არც ადგილობრივ მოსახლეო-

ბაში არ დასტურდება. მით უმეტეს, რომ იმავე წიგნში იფხრევლის ციხესთან დაკავშირებით სამართლიანადაა ნათქვამი, რომ „საკუთრივ შავშეთი ორ ნაწილად იყოფა: პირველი ეს არის იმერხევი, რომელიც ამავე სახელწოდების მდინარის ხეობაში მდებარეობს“ (2-191). როდესაც ტოპონიმ გარყობზეა საუბარი, სასურველი იყო თქმულიყო, რომ ანალოგიური ტოპონიმი გვექონდა თრიალეთშიც.

იმერხევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ციხე იყო იფხრევლის ციხე, რომელსაც, როგორც აღნიშნულია, ადგილობრივი მოსახლეობა „თამარის ციხესაც“ უწოდებდა. შევნიშნავთ, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში იფხრევლის ციხის სიახლოვეს ცხოვრებისას ციხის ასეთი მეორე სახელწოდება არა გვაქვს დადასტურებული. თუმცა ამ ციხესთან დაკავშირებით არსებობს საინტერესო გადმოცემა, რომელიც თამარ მეფეს უკავშირდება: ციხეზე მყოფი თამარა აქედან მდინარის (რომელსაც ფაფართი-ღელეს უწოდებენ) მეორე მხარეზე გადაფრენილა. დაშვებისას მისი ხელის გამოსახულება ქვას დასტყობია. ეს ქვა ბოლო დროს გზის გაფართოებისას დაკარგულა.

ოქრობაგეთის ციხე შავშეთის განსაკუთრებული ციხე იყო. ბოლო დროს აქ სომხები ცხოვრობდნენ, სადაც, თავის დროზე, ნიკო მარს რამდენიმე ქართული ტოპონიმი დაუდასტურებია. დადასტურებულია, რომ ტოპონიმი ორი კომპოზიტისაგან შედგება და ორივე ქართულია. სოფელ ოქრობაგეთში ადრე ქართველები ცხოვრობდნენ და ამ პატარა სოფლის დიდ სოფლად გადაქცევა იმ ფაქტმა განაპირობა, რომ შავშეთში მიმოფანტულმა სომხებმა აქ მოიყარეს თავი. ბუნებრივია მკვლევარმა გვერდი ვერ აუარა ნიკო მარის მიერ ეკლესიის კარიბჭეზე დაფიქსირებულ ნუსხურით შესრულებულ წარწერას, რომელიც ნუკრი შოშიაშვილის მიერ 934 წლითაა დათარიღებული და რომელშიც აღნიშნულია მისი აღმშენებელი მამალაისძე.

შავშეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფორტიფიკაციო ნაგებობა გახლდათ სათლელის ციხე. XIX საუკუნის რუსული დოკუმენტებით ცალ-ცალკე იყო სათლელი და სათლელ-რაბათი. ის, როგორც სამართლიანადაა წიგნში ხაზგასმული, შავშეთის რეგიონის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცენტრს წარმოადგენდა, რასაც შემდეგი ფაქტიც ადასტურებს, რომ აქ ბეგები (ყოფილი თავადები) – ხიმშიაშვილები ცხოვრობდნენ. თავისი მნიშვნელობის გამო სათლელის ციხე აღწერილი და შესწავლილი აქვთ უცხოელ მეცნიერებსაც. აღსანიშნავია, რომ ტაო-კლარჯეთის სხვა ციხეებისაგან განსხვავებით, სათლელის ციხეს არქეოლოგიურად სწავლობს თურქი მეცნიერი ოსმან აითეკინიცი. მას არაერთი ქართველი მეცნიერიც იკვლევდა. ეს ციხე ახლა ტურისტების ყურადღებასაც იქცევს. ერთი თვალის შევლელაც კი საკმარისია, რომ აქ მოსულმა ადამიანმა წარმოიდგინოს შუა საუკუნეების შავშეთელი ქართველების

სამეურნეო ყოფა. როგორც სხვა რეგიონებში, აქაც ქართველები მინათმოქმედებით იყვნენ დაკავებული და მემინდვრობასთან ერთად ისინი მევენახეობა-მელვინეობის დიდი მიმდევრები იყვნენ, რასაც ადასტურებს ციხეში შემორჩენილი ხაროები და მარნები. სათლელის ციხის შესახებ საუბრისას არც ის ფაქტია გამორჩენილი, რომ აქ ქართველ მაჰმადიანებთან ერთად ქართულენოვანი სომხებიც (როგორც გრიგორიანები, ისე კათოლიკეები) ცხოვრობდნენ. აგრეთვე დადასტურებულია, რომ აქ სომხური ეკლესია 1779 წელს ქართული ეკლესიის ნანგრევებზე ყოფილა აგებული.

ჯაბა სამუშიას ავტორობით ვრცელი გამოკვლევა ეძღვნება შავშეთში მდებარე სვეტის ციხეს. ამ მონაკვეთის სქოლიოში ვკითხულობთ: „დღემდე საბოლოოდ დადგენილი არ არის, რა ეწოდება მდინარის იმ მონაკვეთს, რომელიც იწყება იმერხევის წყლისა და შავშეთის წყლის შესართავიდან და გრძელდება მდ. ჭოროხამდე. მას ხან იმერხევისწყლად, ხანაც შავშეთისწყლად მოიხსენიებენ. ვახუშტისთან შავშეთისწყალია. XIX-XX საუკუნეების ავტორები მას იმერხევისწყლად იხსენიებენ. ... ჩვენ უპირატესობას შავშეთისწყალს ვანიჭებთ“ (2-236). ავტორს ვეთანხმები. XIX საუკუნეში ერთმა ავტორმა შეცდომა დაუშვა და დანარჩენები ამ შეცდომას იმეორებენ. ინფორმაცია, რომ მდინარეს შავშეთისწყალი ეწოდებოდა, *ვახუშტი ბაგრატიონს*, რა თქმა უნდა, სანდო და იქაურობის მცოდნე პიროვნებისაგან ექნებოდა მიღებული. ამავე დროს, გეოგრაფიული თვალსაზრისითაც გამართლებულია მდინარის შავშეთისწყლად მოხსენიება, რადგან შავშეთის წყალს უერთდება იმერხევისწყალი და არა პირიქით. კიდევ ერთი ფაქტის შესახებ: იმერხევის ადგილობრივი მოსახლეობისათვის საერთოდ უცნობია ჰიდრონიმი „იმერხევისწყალი“; ადგილობრივები მას *ფაფართი-ლელეს* უწოდებენ.

წეფთის ციხე შავშეთში შავშეთისწყალთან იმერხევისწყლის (ფაფართი-ლელეს) შესართავთან – „შერთულთან“ ახლოს, სოფელ უსტამისის იაილას სიახლოვეს მდებარეობს. წეფთის ციხის შესახებ ვრცელი გამოკვლევა ჯაბა სამუშიას ეკუთვნის. ეს ციხე ქართულ საისტორიო წყაროში – „მატიანე ქართლისა“ – XI საუკუნის ამბების თხრობისასაა მოხსენიებული. ამდენად მის შესასწავლად ავტორს, ზოგიერთი სხვა ციხისაგან განსხვავებით, სათანადო წყაროები და სხვადასხვა მონაცემები გააჩნდა. მართალია, წეფთის ციხის შესახებ ეს პირველი გამოკვლევაა, მაგრამ მისი აღწერილობა სხვადასხვა ქართველმა ავტორმა მოგვცა (*მ. ფალავა, შ. მამულაძე, დ. ბერძენიშვილი...*). XIX საუკუნეში ციხე მოხსენიებული აქვს *გიორგი ყაზბეგს*, შემდეგ *ნიკო მარს*. ციხის ნანგრევებიც კი მნახველზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. ამ ციხისა და აქედან დანახული და აღქმული სივრცეების (შავშეთისა და იმერხევის ხეობები) ნახვის შემდეგ ადამიანი დარწმუნდება, ჩვენს წინაპრებს რაოდენ მაღალ

დონეზე ჰქონდათ საფორტიფიკაციო ნაგებობების აგების ალლო. იმაზეც ფიქრობ ადამიანი, რამდენი მტერი ჰყავდა საქართველოს და რომ ქართველს ფაქტობრივად ციხე-სიმაგრეთა გარეშე ცხოვრება არ შეეძლო. ავტორი კითხვას სვამს: რა იყო წეფთის ციხის დანიშნულება? გაცემული პასუხი ლოგიკურია: „ის მართალია ბატონობს არემარეზე, მაგრამ ამას გარდა მას ჰქონდა კონკრეტული მისია – ჩაეკეტა ის მაგისტრალები, რომლებიც ჭოროხის ხეობიდან გადმოდიოდა იმერხევისა და შავშეთისწყლის მიმართულებით. ეს გზა-ბილიკები დღესაც არსებობს და, ადგილობრივების თქმით, ძველად მათი მეშვეობით უკავშირდებოდნენ ჭოროხის ხეობას, მაჭახელს და შავი ზღვის ნავსადგურებს. ... გზები მიუყვებოდა მთის ფერდობებს და მხოლოდ ხეობიდან ხეობაში გადასვლის მიზნით ეშვებოდა მდინარესთან. ... შავშეთ-კლარჯეთ-ტაოს რეგიონში მდინარეები ხშირად კლდოვან კანიონებს შორის მიედინება, სადაც გზის მოწყობა შეუძლებელი იყო. ... რაც შეეხება წეფთის ციხის სამხედრო-სტრატეგიულ დანიშნულებას, ფაქტობრივად, ეს არის ციხე-სიმაგრე, რომელიც არა მარტო ლოკალურ არეალზე ბატონობს, არამედ მისი მეშვეობით შეგიძლია აკონტროლო საკმაოდ დიდი სივრცე, ერთის მხრივ, არტაან-შავშეთის დამაკავშირებელი უღელტეხილიდან, კლარჯეთის საზღვრამდე და, ცალკე, იმერხევის ხეობის მიმართულებით აჭარასა და ჭოროხის ხეობაში გადასასვლელამდე“ (2-251).

განსაკუთრებულად აღსანიშნავია მეორე ტომში დაბეჭდილი ვრცელი მოცულობის ნაშრომი „ტაო-კლარჯეთის ციხე-სიმაგრეების ეკლესიები“ (2-263-317). აღნიშნული ნაშრომის ავტორია *ნინო სილაგაძე*. ეს პრობლემა ნამდვილად აღსანიშნავია. სამხრეთ საქართველოს თითქმის ყველა დიდი ციხე-სიმაგრის ტერიტორიაზე ქართველებს ეკლესიები ჰქონდათ აგებული, რაც უდავოდ მათი ქრისტიანობისადმი ერთგულ დამოკიდებულებაზე და პოლიტიკაზეც მეტყველებს. ასეთი ნაეკლესიარები, ეკლესიათა ნანგრევები დიდი ხანია მეცნიერთა ყურადღებას იქცევს. თანამედროვე ავტორებს რომ თავი დავანებოთ, ამ თვალსაზრისით, დიდი ექვთიმე თაყაიშვილის დასახელებაც საკმარისია, რომლის დაწყებული საქმის გამგრძელებელი XX საუკუნეში იყო *ვახტანგ ჯობაძე*. საქართველო-თურქეთის საზღვრის გახსნის შემდეგ კი აქ კვლევითი სამუშაოები ჩაატარა არაერთმა ხელოვნებათმცოდნემ. ამ შემთხვევაში ციხე-სიმაგრეებში აგებული ეკლესიების კომპლექსური აღწერა და მეცნიერული შესწავლა *ნინო სილაგაძემ* მოახდინა. ჩვენ თავს ვერ ვიდებთ ამ მონაკვეთის შეფასებას, მაგრამ ნაკითხულის შემდეგ ყველას აუცილებლად დარჩება შთაბეჭდილება, რომ სერიოზულ გამოკვლევასთან გვაქვს საქმე. ხუროთმოძღვრული ნიმუშები ავტორის მიერ სისტემატიზებულია როგორც ტერიტორიული პრინციპით, ისე ძეგლების ტიპოლოგიის გათვალისწინებით.

არსებული ლიტერატურისა და ველზე მოძიებული მასალების საფუძველზე გაანალიზებულია ძეგლების მახასიათებლები: გამოყოფილია სხვადასხვა პერიოდში აგებული ნიმუშები, დაჯგუფებულია არქიტექტურული ტიპების მიხედვით, დახასიათებულია მათი კომპოზიციური, კონსტრუქციული წყობა, დეკორატიული შემკულობა; აგრეთვე ისინი გაანალიზებულია ზოგადად ქართული შუა საუკუნეების საკულტო ხუროთმოძღვრების კონტექსტში. ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, ავტორმა სანიმუშოდ წარმოადგინა „ციხეთა შინა“ ეკლესიების განსაკუთრებული ფენომენი. სასიამოვნოა, რომ მეორე ტომი მთავრდება მხატვარ ლევან სილაგაძის მიერ რეკონსტრუირებული ტაო-კლარჯეთის ციხე-სიმაგრეთა ჩანახატებით.

მესამე ტომი მთლიანად ტაოს ფორტიფიკაციების გამოკვლევას ეძღვნება. შესწავლილია ამ ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის სულ 29 ძეგლი. ზემოთ დასახელებულ ავტორებთან (*ჯაბა სამუშია, ლერი თავაძე, ბონდო კუპატაძე, ალექსანდრე ბოშიშვილი*) ერთად, ოთხი მონაკვეთის ავტორია აკაკი ჩიქობავა. როგორც განხილულ ორ ტომში, მესამე ტომშიც ყველა ძეგლის კვლევას თან ახლავს ისტორიულ-გეოგრაფიული კვლევა და ტოპონიმების ანალიზი. ამას კი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმიტომ, რომ მეზობელი ქვეყნის მეცნიერებს გარკვეული პრეტენზიები ტაოს პროვინციის შესახებ გააჩნიათ. ანძავის ციხეზე წარმოდგენილ მონაკვეთში (ავტორი ლერი თავაძე) ხაზი ესმის იმას, რომ ტოპონიმი ქართულია. ის ანძასთან არის დაკავშირებული და მისი მანარმოებელი სუფიქსიც ქართულია (-ავ-ი). ამავდროს, არც დიდი ფეოდალები ანძაველები არიან დავიწყებული, რომლებიც XV-XVI საუკუნეებში ანძავის ციხეს – იმიერტაოდან ამიერტაოში შესასვლელს აკონტროლებდნენ. ხაზი იმ ფაქტსაც აქვს გასმული, რომ მცხეთის ვასალია ანძაველების ფეოდალური სახლი, რომელსაც ეკუთვნის მონასტერი, კარის ეკლესია და სასაფლაო.

მნიშვნელოვანი მონაკვეთია ნარკვევი ასისფორის ციხის შესახებ, რომლის ავტორიც *ალექსანდრე ბოშიშვილია*. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ასისფორის ციხიდან გადასასვლელები არსებობდა სპერსა და თორთომში. თორთომიდან კი გურჯი ბოლახის გავლით გზა არზრუმში გადადიოდა. ხაზი აქვს გასმული იმ ფაქტს, რომ ტოპონიმი ასისფორი „მატიანე ქართლისაში“ VIII საუკუნის ამბებთან დაკავშირებითაა ნახსენები. ვფიქრობთ, რომ ტოპონიმი ასისფორი ორი სიტყვის შეერთების შედეგადაა მიღებული – „ასი“+„ფორი“. ფორ ძირია კლარჯეთის სოფლის სახელშიც – „ფორთა“. სომხურ წყაროებში მის სახელწოდებად დაფიქსირებულ „არსის-ფორში“ ხომ არაა ამ ტოპონიმის თავდაპირველი ფუძე? და ხომ არაა ის დაკავშირებული „არსიანთან“? სამწუხაროდ, ციხე-სიმაგრის თავდაპირველი ფორმის აღდგენა ავტორისათვის

გაძნელებული იყო, რადგან დღეისათვის ამ კომპლექსის მხოლოდ გოდოლი, გალავანი და სამეურნეო ნაგებობებია შემორჩენილი. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ამ სამეურნეო ნაგებობებში შემორჩენილია მარცვლეულის შესანახი ნაგებობების ნაშთიც, რაც პირდაპირ მიანიშნებს ადგილობრივი ქართული მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობაზე; ისევე როგორც სხვაგან, ტაოშიც ქართველთა ძირითად სამეურნეო საქმიანობას მემინდვრეობა წარმოადგენდა. სამართლიანადაა აღნიშნული, რომ ასისფორის ციხე და ქვეყანა არა მარტო ტაოს დანარჩენ ტერიტორიებთან, არამედ, პარხლის საშუალებით, ჭანეთთანაც იყო დაკავშირებული. ისტორიის თხრობისას კი განსაკუთრებული აქცენტი იმ ფაქტზე გადატანილი, რომ ასისფორში, როგორც საზღვრისპირა რეგიონში, დროის გარკვეულ მონაკვეთში, ჯერ ბიზანტიელები და შემდეგ უკვე თურქ-სელჩუკებიც გაბატონდნენ, თუმცა საქართველოს ერთიანობისა და ძლიერების ხანაში მას ქართველი დიდებულები აკონტროლებდნენ. ვრცელი გამოკვლევა ეძღვნება ბარდუსის ციხეს, საიდანაც გზა ტაოდან ბასიანში მიემართებოდა. მნიშვნელოვანი ფაქტია და, შესაბამისად, დიდი ადგილი ეთმობა ამ ციხეზე არსებულ ორსტრიქონიან ასომთავრულ წარწერას, რომელიც X საუკუნითაა დათარიღებული.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრე ტაოში თორთომის ციხეა, რომელიც ნებისმიერ მნახველზე განუსაზღვრელ შთაბეჭდილებას ახდენს. ვრცელ გამოკვლევაში ჯაბა სამუშია იმიერტაოში მდებარე ამ საფორტიფიკაციო ნაგებობის სრულყოფილ შესწავლას გვთავაზობს. ხაზი აქვს გასმული იმას, რომ ტოპონიმი *თორთომი* არაერთხელაა მოსხენიებული ქართულ წერილობით ძეგლებში. თორთომის ციხე-ქალაქის შესწავლა, ბუნებრივია, ვერ მოხდებოდა ამ მხარეში არსებული ხახულისა და ოშკის ტაძრების გვერდის ავლით. ამიტომაც ორივე ამ ძეგლზე საუბარს ნარკვევებში განსაკუთრებული ადგილი უკავია. მით უმეტეს, რომ ხახულზედაც და ოშკზეც არაერთი ქართული წარწერაა. როგორც სანაპირო ქვეყანა, ის ხშირად მტერთა თავდასხმისა და მიტაცების ობიექტიც იყო.

სამართლიანია მოსაზრება, რომ „ეს რეგიონი ეთნიკურად კი წარმოადგენდა ქართველთა საცხოვრისს, ეკლესიურად ეკუთვნოდა ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას, მაგრამ პოლიტიკურად ის ოკუპირებული იყო ბიზანტიელთა მიერ“ (3-88). ბუნებრივია, ქრისტიანი დამპყრობლების გარდა, თორთომი მაჰმადიანი დამპყრობლების ყურადღებასაც იქცევდა. აქედან გამომდინარე, არაა გასაკვირი, რომ ავტორი გვთავაზობს 1402 წელს თემურლენგის ლაშქრობის დანვრილებით აღწერას და თორთომის ციხის ალების პერიპეტიებს. არც ის ფაქტია გამოტოვებული, რომ აქ, ტაოში, აგრეთვე სპერსა და კოლა-არტაანში ხშირი იყო სომეხთა მიგრაციის შემთხვევები, გან-

საკუთრებით XIV-XV საუკუნეებიდან, რომელთა ჯგუფურმა გადმოსახლებამ გამოიწვია სომხური ტოპონიმების წარმოქმნა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ აქ ქართული მოსახლეობა ბოლო დრომდე მაინც იყო, რასაც ადასტურებს ის ფაქტი, რომ ქალაქ თორთომის დღევანდელი მოსახლეობის ლექსიკაში არა ერთი და ორი ქართული ლექსიკური ერთეულია შემონახული (ტუფან შაფაკ ლომინაძის ცნობა). ჩვენი ქვეყნის ეთნიკური ისტორიისათვის დამაფიქრებელი რეალური ფაქტია, რომ „XVII-XVIII საუკუნეებში თორთომის ციხე-ქალაქის შესახებ არსებული მასალა გვიჩვენებს, რომ ის თანდათან ეთნიკურად შეიცვალა. ქართველების ნაწილმა თორთომი და მის გარშემო არსებული სოფლები დატოვა და იქ თავდაპირველად სომხური მოსახლეობა ჩამოსახლდა, მოგვიანებით სომხები თურქული მოდგმის ტომებმა ჩაანაცვლეს, მოხდა რეგიონის სრული ისლამიზაცია. XVI საუკუნის დავთრებში თორთომის რეგიონში თუ ქართული ონომასტიკა უხვად იყო შემონახული, მოგვიანებით ის ქრება“ (3-102).

ტაოს ყველა ციხე-სიმაგრეზე შეჩერება შეუძლებელია, მაგრამ აუცილებლად უნდა შევეხოთ კიდევ რამდენიმეს; მათ შორისაა, კალმახის ციხე, რომელიც შუა საუკუნეებში ამიერტაოდან კოლაში გადასასვლელ გზას აკონტროლებდა, თუნდაც იმიტომ, რომ მასთან არის დაკავშირებული ფეოდალ კალმახელების გვარი (ეს გვარი საკმაოდ ადრე, XI საუკუნეშია დადასტურებული). კალმახის ციხეზე შექმნილი გამოკვლევიდან კიდევ ერთხელ ნათლად ვხედავთ, თუ როგორ შეიძლება ასეთი ძეგლების შესწავლა საქართველოს ისტორიის სამსახურში იქნეს ჩაყენებული. ამ მონაკვეთზე ასევე მხოლოდ დადებითის თქმა შეიძლება, თუნდაც იმიტომ, რომ ვრცელადაა მსჯელობა ციხეში დაცული გუმბათოვანი ეკლესიის წარწერაზე, რომელიც აქ ოდესღაც ქართველთა მკვიდრობაზე ლაღადებს. ერთ-ერთი ფრესკის წარწერაზე კი ქართული გვარიც იკითხება: „შ უ ბ ი ძ ე მ ი ქ ე ლ შ ე უ ნ დ ვ ე ნ , ქ რ ი ს ტ ე ლ მ ე რ თ ო დ ი დ ო “ (3-118). გარკვეულია, რომ ეს ტაძარი წმიდა დემეტრეს სახელობისა იყო. აქვე XVI საუკუნეში (1520 და 1534 წლებში) ფეოდალ კალმახელებს ორჯერ გადაუნერინებიათ სახარება (3-120-121). არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, 1595 წლის გურჯისტანის ვილაიეთის დავთარში ქიამხისის ანუ კალმახის მკვიდრებიც არიან შეყვანილი. სამართლიანადაა აღნიშნული, რომ ძირითადად მოსახლეობა ქართულია, რაზედაც მეტყველებს ადგილობრივთა ანთროპონიმები – შაქარა, ათაბეგი, გიორგი, ზაქარია, როსტომი, გოგჩა, მამული, ბეჟანი, ზაქრო და სხვა (3-139). რა თქმა უნდა, მოხმობილი ანთროპონიმები ქართულია, მაგრამ ზემოთაც აღვნიშნე და გვინდა გავიმეოროთ, რომ არცერთი მათგანი გვარსახელი არაა. წამალაძეები, ასპაზიძეები, ყარაგოზიძეები, ნურალიძენი, თურმანიძეები, ამირხანიძეები აქ მკვიდრთა მამის

სახელებია. უბრალოდ, თურქმა რა იყო მემკვიდრეობითი სახელი – გვარსახელი – XX საუკუნის 30-იან წლებამდე არ იცოდა. ისინი, ჩვეულებრივ, ყოველთვის სახელსა და მამის სახელს აფიქსირებდნენ.

ომანგის ციხე ქუროხის ხეობაში იუსუფელიდან ისპირისაკენ მიმავალ გზაზე მდებარეობს. ამ ციხემ ჩვენი ყურადღება მიიქცია ტოპონიმზე მსჯელობის გამო. ვკითხულობთ, რომ „ომანგის სახელწოდება, თითქოს მსგავსებას პოულობს ტაოში არსებულ ტოპონიმთან – ოშკი, რომელიც, როგორც მეცნიერებაშია გაზიარებული, ‘მეგრულ-ჭანურ’ ‘შქა’ (შუა)-სგან არის ნაწარმოები“ (3-242). ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში მეგრულ-ჭანური ტოპონიმების არსებობას ვერავინ უარყოფს, მაგრამ ომანგის ოშკთან დაკავშირება ხელოვნურად მიგვაჩნია. ოშკს თავსართი თანხმომავანი „კ“ აქვს დაკარგული. მისი თავდაპირველი სახელწოდება კ-ოშკი იყო. ცნობილია, რომ ქართული ტოპონიმების მნიშვნელოვან ნაწილს, რომლებიც ხმოვნით იწყება, თავში თანხმომავანი აქვს დაკარგული (ტოგო გუგავას დაკვირვება).

ნამდვილი ზანური ტოპონიმია ოხური. ამას ნარკვევის ავტორიც სამართლიანად აღნიშნავს ოხურის ციხისადმი მიძღვნილ გამოკვლევაში. ოხურის ციხე მდებარეობს ამიერტაოს იშხნის პროვინციის ჩრდილოეთში კლარჯეთის საზღვარზე. აქ ზურგიანი კოშკიც დგას. საყურადღებო ინფორმაციაა, რომ ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილს თავისი გურჯული წარმომავლობა ახსოვს და საუბარში შიგადაშიგ ქართულ სიტყვებსაც ურევენ.

წინამდებარე გამოხმაურებაში ტაოს, კლარჯეთის, შავშეთის, კოლას, არტაანის ციხე-სიმაგრეთა მხოლოდ ნაწილს შევეხეთ. ავტორებმა თითქმის სრულად მოიცივეს და სამეცნიერო გამოკვლევები დაწერეს სამხრეთი და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს აღნიშნული მატერიალური კულტურის ძეგლების შესახებ. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი მათგანი შეუსწავლელი დარჩათ. სხვაგვარად წარმოუდგენელი იყო; სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე მოწყობილი შვიდი ექსპედიციის შედეგად, კიდევ გასაოცარია ის შედეგი, რაც ჩვენ თვალწინაა. შექმნილი სამტომეული არის თავაუღებელი შრომის შედეგი, რომელიც ფართო განათლებას, წყაროთმცოდნეობითი ბაზის სათანადოდ ფლობას, არსებული ლიტერატურის სრულად გამოყენებას ეფუძნება. ალბათ ყველა ქართველი ინატრებდა ექსპედიციის წევრებისდაგვარად ჰქონოდა შესაძლებლობა ფაქტობრივად ფეხით მოეარა ქართველთა განსახლების უძველესი არეალი, სადაც საუკუნეების განმავლობაში მაღალი კულტურა იქმნებოდა. წიგნი უხვადაა ილუსტრირებული. სხვანაირად წარმოუდგენელი იყო, რადგან ამ ილუსტრაციების გარეშე წარმოუდგენელია მკითხველს ტაო-კლარჯეთის საფორტიფიკაციო ნაგებობების შესახებ წარმოდგენა შექმნოდა და მეცნიერ მკვლევარებს სათანადო ტექნიკით არაერთი ფოტო აქთ გადაღებული. მაგრამ საილუსტრაციო მასალის მომზადებაში მაინც განუსაზღვრელი წვლილი აქვს

შეტანილი არქიტექტორ გიორგი ბაგრატიონს, გასაოცარია მის მიერ გამოხაზული ძეგლების ნახაზები: გეგმები, ჭრილები, ანაზომები. ამასთან ერთად, გიორგი ბაგრატიონი დახელოვნებული და გემოვნებიანი ფოტოგრაფიცაა. ზოგიერთი ჩვენი შენიშვნა თუ სურვილი სრულიად არ ამცირებს ავტორთა კოლექტივის მეცნიერულ ნაკვლევს. ადამიანის მიერ შექმნილი ნებისმიერი რამ ხომ არასდროს აბსოლუტურად სრულყოფილი არაა. მკითხველს კი კითხვისას სხვადასხვა სურვილი გვიჩნდება. უყოყმანოდ, ამ ნაკვლევის საფუძველზე ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის სალექციო კურსს შევქმნიდი. სამტომეულში ხომ მხოლოდ ძეგლების აღწერა არაა; აქაა ისტორიული საქართველოს სამხრეთში მდებარე პროვინციების ისტორია, როგორც პოლიტიკური, ისე სოციალური, ეკონომიკური, ეთნიკური. ეთნიკური იმიტომ, რომ საქართველოს სამხრეთის ამ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში, განსაკუთრებით სანაპირო ზოლში, იშვიათი არ იყო სხვა ეთნიკურ ერთობათა მიგრაცია და დასახლება. გვიან კი ეს პროცესი ინტენსიური გახდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საქართველომ ისტორიული ტერიტორიები პოლიტიკურად დაკარგა, ქართველთა მნიშვნელოვანი ნაწილი ან სხვაგან გადასახლდა, ან რელიგიური ორიენტაციის იძულებითი შეცვლის შედეგად ასიმილირებულ იქნა. ქართველთა არც თუ ისე უმნიშვნელო ნაწილმა შავშეთ-იმერხევეში, კლარჯეთ-ლიგანში, ტაოს პარხლის ხეობაში ეთნიკური იდენტობა შეინარჩუნა. ამას ხომ ბოლო წლებში დანერილი არა ერთი და ორი გამოკვლევაც ადასტურებს. მიმაჩნია, რომ წარმოდგენილი სამტომეული ტაო-კლარჯეთის ციხე-სიმაგრეების შესახებ ყველაზე დიდი საჩუქარი მათთვისაა, ვინც უკანასკნელ წლებში თავისი ქართველობა ნამდვილად იპოვა, უფრო რომ დავაკონკრეტოთ, თურქეთის სახელმწიფოში მცხოვრები ქართველებისათვის.

სამტომეულის ავტორები ქების ღირსნი არიან და არა მარტო იმიტომ, რომ იქაური ლანდშაფტი, ძეგლები, ძეგლებზე წარმოდგენილი და წინაპართა მიერ შესრულებული ქართული დამწერლობის ნიმუშები საკუთარი თვალით აქვთ ნანახი, არა მარტო იმიტომ, რომ იქაური ქართული სოფლები ფეხით აქვთ შემოვლილი და ძვირფასი ეთნოგრაფიული მასალებიც ჩანერილი, იმიტომაც, რომ მათ შექმნეს მაღალმეცნიერული გამოკვლევა, რომლის შექმნასაც საფუძვლად ედო სამშობლოს სიყვარული. ეს ავტორები კი არიან: ჯაბა სამუშია (პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი), ბონდო კუპატაძე, ლერი თავაძე, ალექსანდრე ბოშიშვილი, აკაკი ჩიქობავა, ნინო სილაგაძე, ლევან სილაგაძე, გიორგი ბაგრატიონი. კარგია, როცა ქვეყანაში მეცნიერული უკანსვლის ფონზე ასეთი გამონათებები გვაქვს. ისიც მისასაღმებელია, რომ ასეთი მნიშვნელოვანი ეროვნული სამეცნიერო პროექტი შოთა რუსთაველის ფონდის დაფინანსებით განხორციელდა.